

ათუღი სიფყვების (კომპოზიციის) დანაჩიღობა

ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები (წარმოქმნილი) და რთული. მარტივი ფუძე შემადგენელ ნაწილებად არ იშლება, მისგან აფიქსი არ გამოიყოფა. ნაწარმოები ფუძე შედგება მარტივი ფუძისა და მნიშვნელობის მცვლელი აფიქსისაგან ან აფიქსებისაგან (კაც-ურ-, სა-კაც-ე, უ-კაც-ო; ცხენ-ისან-, მშვილდ-ისან-, მე-ბაღ-ე, მე-ღორ-ე...) ან ისევე ნაწარმოები ფუძისა და მნიშვნელობის მცვლელი აფიქსისა ან აფიქსებისაგან (ძლ-იერ-ება, ნა-ყოფ-იერ-ება). რთული ფუძე შედგება ერთზე მეტი (ჩვეულებრივ, ორი, ან იშვიათად—სამი) მარტივი, მარტივი და ნაწარმოები ან ნაწარმოები ფუძისაგან. მაგალითად: ორი მარტივი ფუძისაგან შედგება რთული ფუძე გულ-ქვა, გულ-გატეხილი შედგება მარტივი და ნაწარმოები ფუძისაგან, ხოლო დალიან-ბარაქიანი (ვუა) — ორი ნაწარმოები ფუძისაგან. რთული ფუძის მქონე სიტყვას კომპოზიტი ეწოდება.

ხშირად კომპოზიტი ორი და მეტი ფუძისაგან კი არ არის შედგენილი, არამედ ორი და მეტი სიტყვისაგან, ე. ი. ერთმანეთსა შერწყმული ორი დამოუკიდებლად გაფორმებული სახელი. კომპოზიტის პირველ ნაწილს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები — ბრუნვის ნიშნები ახლავს, რომლებიც კომპოზიტად შერწყმის შემდეგ ფუძის (რთული ფუძის) შემადგენლობაში შედის, როგორც მისი შემადგენელი ორგანული ნაწილი. ამ ტიპისაა, მაგალითად, კომპოზიტები: გულისთქმა, გულისყური, ვერცხლისწყალი, გუთნისდედა, ხელისუფალი, ხელისგული, ჭირისუფალი, ქინძისთავი, ცისკარი, ხევისბერი, ჭარისკაცი და სხვ. ამ კომპოზიტების პირველი ნაწილები ნათესაობით ბრუნვაშია დასმული და ნათესაობითი ბრუნვის აფიქსი -ის რთული ფუძის შემადგენლობაში შედის.

ფუძის მნიშვნელობის მხრივ კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთმნიშვნელობიანი და ორ- და მეტმნიშვნელობიანი. ერთმნიშვნელობიანია კომპოზიტი, რომლის ფუძის (რთული ფუძის) მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს, როცა რთული ფუძე სულ სხვა საგნობრივი მნიშვნელობის შემცველია, ვიდრე მისი შემადგენელი ფუძეები თუ სიტყვები, თუნდაც მისი მნიშვნელობა შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათაგან გამოდინარეობდეს, თუნდაც იგრძნობოდეს კავშირი რთული ფუძის მნიშვნელობასა და შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა შორის. ასეთ შემთხვევაში რთული ფუძის შემადგენელ ფუძეებსა და სიტყვებს შორის არ შეიძლება დაისვას და კავშირი, რთული ფუძე არ შეიძლება შეეცვალოთ და კავშირიანი (საერთოდ მავრთებელკავშირიანი) სიტყვათშეერთებით.

ამის მიხედვით ერთმნიშვნელობიანია კომპოზიტები: ქვანახშირი, ქალიშვილი, ფურირემი, შამაკაცი, ძვირფასი, გულკეთილი, გულგატეხილი, გუთნისდედა, კარისკაცი, ხიდისთავი, ცხენისწყალი, ორპირიანი, ხუროთმოძღვარი, თავდასავალი, თავმჯდომარე, ვერცხლისწყალი, ჭარისკაცი, ქინძისთავი და მრავალი სხვა.

მართლაც, რომ ავიღოთ კომპოზიტი ქვანახშირი, მისი (რთული) ფუძის მნიშ-

ენელობა არ უღრის შემადგენელ (ქვა და ნახშირ-) ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს, თუმცა რთული ფუძის მნიშვნელობა გამოდინარეობს ამ მნიშვნელობათაგან, ერთგვარად დაკავშირებულია ამ მნიშვნელობებთან. ასევეა კომპოზიტის გულგატეხილის მნიშვნელობა. გულგატეხილი შეიძლება იყოს კაცი, მაგრამ ეს მნიშვნელობა არ მიიღება გულ- და გატეხილ- ფუძეების მნიშვნელობათა შეკრების გზით. ასევეა ვერცხლისწყალი. ამ რთული ფუძის მნიშვნელობას უკვე აღარაფერი აქვს საერთო არც ვერცხლ- და არც წყალ- ფუძეების მნიშვნელობასთან.

შეუძლებელია ამ რთული ფუძეების შეცვლა და კავშირიანი სიტყვათშეერთებებით. შეუძლებელია მათ ნაცვლად ვიხმართ: ქვა და ნახშირი, ქალი და შვილი, ფური და ირემი, გული და გატეხილი, გუთნის და დედა, ორი და პირიანი, ვერცხლის და წყალი, ჯარის და კაცი და ა. შ.

ორ- და მეტმნიშვნელობიანი კომპოზიტი, რომლის მნიშვნელობა უღრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს. ასეთ შემთხვევაში რთულ ფუძედ გაერთიანებისას შემადგენელი ფუძეები იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რომელიც მათ ცალკე ჰქონდათ. რთული ფუძე მხოლოდ მექანიკურად აერთიანებს და ერთად თავს უყრის ამ მნიშვნელობებს. ამ შემთხვევაში შემადგენელი ფუძეების და კავშირით ან სხვა მაერთებელი კავშირით გაერთიანება შესაძლებელი, რთული ფუძე და კავშირიანი სიტყვათშეერთებით შეიძლება შეიცვალოს.

ორმნიშვნელობიანი კომპოზიტები: და-ძმა (= და და ძმა), დედ-მამა (= დედა და მამა), ცოლ-ქმარი (= ცოლი და ქმარი). რძალ-დედამთილი (= რძალი და დედამთილი), ქართლ-კახეთი (= ქართლი და კახეთი), გურია-სამეგრელო (= გურია და სამეგრელო), ერწო-თიანეთი (= ერწო და თიანეთი), მთა-ბარი (= მთა და ბარი), სიველ-გუჯარი (= სიველი და გუჯარი) და სხვ.

სამნიშვნელობიანი კომპოზიტებია: ქართლ-კახეთ-იმერეთი (= ქართლი, კახეთი და იმერეთი), რძალ-მულ-დედამთილი (= რძალი, მული და დედამთილი). ასეთი კომპოზიტები იშვიათია. უფრო მეტმნიშვნელობიანი კომპოზიტები ჩვეულებრივ არ გვხვდება.

შენიშვნა. ერთგვარი შედგენილობის კომპოზიტები ერთ შემთხვევაში ერთმნიშვნელობიანი შეიძლება იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ორმნიშვნელობიანი. მაგალითად, ხარკამეჩი ერთმნიშვნელობიანია იმ შემთხვევაში, თუ მამალ კამეჩს აღნიშნავს (უპირისპირდება ფურკამეჩს), მაგრამ ორმნიშვნელობიანია, თუ აღნიშნავს ხარსა და კამეჩს. ასევე, ცოცხალმკვდარი ერთმნიშვნელობიანია, თუ ნახევრად მკვდარ, სიკვდილის პირს მისულ აღამიანს აღნიშნავს, მაგრამ ორმნიშვნელობიანად გვესმის, თუ ცოცხალი და მკვდარი იგულისხმება ამ სიტყვაში.

კომპოზიტი, მიუხედავად მისი ფუძის შედგენილობისა, ერთ სიტყვას წარმოადგენს; როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით იგი ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც მარტივი ან ნაწარმოები ფუძის შემცველი სიტყვა, კერძოდ, როგორც ამ კომპოზიტის შემადგენლობაში შემავალი ფუძე. ეს ფაქტი გადამწყვეტი მნიშვნელობისა კომპოზიტების დაწერილობის საკითხის გადაჭრის თვალსაზრისით.

ქართულ ენაში კომპოზიტების მიღების სამი საშუალება არსებობს: ერთი საშუალებაა ფუძის გაორკეცება, მეორე — ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთება, მესამე — ორი სიტყვის შეერთება.

I. ფუძის გაორკეცება

ა) აქ პირველ რიგში ისეთი შემთხვევები უნდა გამოიყოს, როცა გაორკეცვისას ფუძეში ცვლილებები არ ხდება. ვარჩევთ ორ შემთხვევას:

1. ცალკე აღებულ ფუძეს (გაორკეცებამდე) დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ასეთი შემთხვევები ცოტაა:

თვ-თავი

წამ-წამი

ამ შემთხვევაში გაორკეცებულ ფუძეს შეიძლება ასუფიქსიც დაერთოს: წყალ-წყალა. მყარა-მყარა (ბალახი).

ამ შემთხვევებში რთული ფუძის მნიშვნელობა განსხვავებულია ცალკე აღებული ფუძის მნიშვნელობისაგან, მაგრამ გაორკეცვისას შეიძლება ფუძის მნიშვნელობამ არსებითი ცვლილება არც განიცადოს: დაფდაფი, ვიფვი-ი...

აქვე შემოდის ფუძის გაორკეცებით მიღებული ზმნისართები: უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა, ნაპირ-ნაპირ, ტყე-ტყე...

2. ცალკე აღებულ ფუძეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა მხოლოდ ფუძის გაორკეცვის შედეგად მიღებული კომპოზიტის ფუძეს მოეპოვება.

ბაჭ-ბაჭი	ბუტ-ბუტი	კაშ-კაში	კაწ-კაწი	კაქ-კაქი
ლაქ-ლაქი	ლუღ-ლუღი	ნარ-ნარი	ლუკ-ლუკი	რაკ-რაკი
რახ-რახი	ჩაქ-ჩაქი	ჩიფ-ჩიფი	ჩუხ-ჩუხი	ციმ-ციმი
ძაგ-ძაგი	ქახ-ქახი	ჭიკ-ჭიკი	ხარ-ხარი	

ასუფიქსის დართვით: ბაჭ-ბაჭა, კაშ-კაშა, ლაქ-ლაქა, ნარ-ნარა. ჩიფ-ჩიფა.

ბ) გაორკეცვისას ფუძეში ცვლილება ხდება. ცვლილება იმაში შეიძლება გამოიხატოს, რომ რიგით პირველ ან რიგით მეორე ფუძეში თანხმოვანი ან ხმოვანი შეიცვალოს სხვა თანხმოვნით ან ხმოვნით, ან კიდევ რიგით მეორე ფუძეში შენაცვლება მთელ დასაწყის მარცვალს შეეხოთ, ანდა კიდევ რიგით მეორე ფუძეს თანხმოვანი დაცმატოს დასაწყისში. გაორკეცვისათვის ამოსავალი ფუძე ბევრ შემთხვევაში რეალურად არსებულ ფუძეს წარმოადგენს.

სათანადო მაგალითები ასეთია:

ახალ-უხალი (ჩვეულებრივ მრავლობითის ფორმით: ახალუხლები). ბალახ-ბუღახი. ნაყარ-ნუყარი, ბაქი-ბუქი. ბრახა-ბრუხი, ლაწა-ლუწი, მტლაშა-მტლუში, რამე-რუმე, სხაპა-სხუპი (ზმნისართული ფორმა: სხაპახუპით). დავა-დუვა. კანტიკუნტი (ჩვეულებრივ ესეც ზმნისართულად: კანტიკუნტად), კნაწა-კნუწი. ღაპა-ღუპი (ღაპაღუპით), ჩამი-ჩუმი, ჩხარა-ჩხური, ხათქა-ხუთქი (ხათქახუთქით), აბდა-უბდა, ხევ-ხუვი, ერთ-ურთი, ბიჭ-ბუჭი (მრავლობითის ფორმით: ბიჭბუჭები), ბინდ-ბუნდი (ბინდ-ბანდი), ჭია-ჭუა, გორ-გური, რიფ-რაფი, ქოხ-მახი, გიფ-მაფი, კუქ-მაქი, ძონძ-მანძი (ძონძმანძები), არე-მარე, ახლო-მახლო, უსწორ-მასწორო, უზარ-მაზარი. ავან-ჩავანი და მრავალი სხე.

გ) ორკეცდება რიცხვითი სახელების ფუძეებიც: ერთ-ერთი, ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ათ-ათი, ას-ასი. მაგრამ ამათი მნიშვნელობა სხვაგვარია (ამათ შესახებ ქვემოთ).

დ) ორკეცდება ზედსართავის ფუძეებიც: დიდ-დიდი, პატარ-პატარა, ჭრელ-ჭრელი...

ე) ფუძის გაორკეცებისას ფუძეები და კავშირით შეიძლება შეერთდეს. ასეთ შემთხვევაში რთულ ფუძეს უპირატესად ზმნისართული მნიშვნელობა აქვს: პირ-და-პირ, გულ-და-გულ, დრო-და-დრო, თან-და-თან, კარ-და-კარ, კვალ-და-კვალ, ფეხ-და-ფეხ, ცხენ-და-ცხენ, სხვა-და-სხვა, წინ-და-წინ, ხან-და-ხან. თანხმოვნისა და ხმოვნის ცვლილებით: წამ-და-უწყუმ.

ამათგან შემდგომ ნაწარმოებია ზედსართავები: პირდაპირი, თანდათანი, გულდაგული...

ყველა ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი, გარდა რიცხვითი სახელების ფუძეთა გაორკეცების შემთხვევებისა, ერთმნიშვნელობიანია.

II. სხვადასხვა ფუძის შეერთება

სხვადასხვა ფუძის შეერთება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. შეერთებულია ან ერთი ტიპის ფუძეები, ან სხვადასხვა ტიპისა.

ა) ერთი ტიპის სახელების შეერთებისას ჩვეულებრივია

1. სინონიმური ფუძეების გაერთიანება.

ძალ-ღონე, ტოლ-ამხანაგი, სვე-ბედი, ბედ-იღბალი, ღარიბ-ბატაკი, შიშველ-ტიტველი, გზა-კვალ-ი, კვლევა-ძიება...

2. საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ფუძეთა შეერთება.

მიწა-წყალი-ი, უფროს-უმცროს-ი, დედალ-მამალ-ი, ქალ-ვაჟი-ი, ტყე-ველი-ი, მთა-ბარი-ი, მტერ-მოყვარე, კითხვა-მიგება, დღე-ღამე.

3. ისეთ ფუძეთა შეერთება, რომელთა მნიშვნელობები რაიმე მხრივ ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

ოქრო-ვერცხლი-ი, ბარ-საკვეთი-ი. სახნის-საკვეთი-ი („ს ა ხ ნ ი ს - ს ა კ ვ ე თ ო, გაუსვი, რომ კაჭკაჭს ძირი უთხარო“.—რ. ერისთავი), გულ-მკერდი-ი, ხიტყვა-პასუხი-ი, და-ძმა, ცოლ-შვილი-ი, რძალ-მულ-ი, რძალ-დედამთილი-ი, დედამთილ-მამამთილი-ი, ბიძა-ბიცოლა, მამა-ბიძა, ქმარ-შვილი-ი, წვერ-ულვაში-ი („შეურცხვეს წ ვ ე რ - უ ლ - ვ ა შ ი, ნულარ შერჩეს თავზე თმა... ვინც დაიწყოს ქვეყნად განთ მული წინაპარი“.—აკაკი), თვალ-წარბი-ი, ხელ-ფეხი-ი, გულ-ღვიძლი-ი, ქვრივ-ბოლო-ი, პურ-ღვინო, წერა-კითხვა, ქმარ-ხანჯალი-ი, ფარ-ხმალ-ი, ყვა-ყორანი-ი, მშვილდ-ისარი-ი, სკიპ-ტროსან-გვირგვინოსანი-ი („ს კ ი პ ტ რ ო ს ა ნ - გ ვ ი რ გ ვ ი ნ ო ს ა ნ ს ა ჰ მ ვ ე ნ ო ლ ა ც მ ა პ ო რ ფ ი რ ი ს ა“.— „ვეფხისტყა“.).

აქვე შემოდის გეოგრაფიული სახელები: (ქართლ-კახეთი-ი, სამცხე-საათაბაგო, რაჭა-ლეჩხუმი-ი, გურია-აჭარა, მესხეთ-ჭავჭავეთი-ი, ტაო-კლარჯეთი-ი...) და მასდარებისა და მიმლობების შეერთება. ეს უკანასკნელები ბევრ შემთხვევაში მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ საპირისპირო მიმართულების აღმნიშვნელი პრეფერბები დაერთვით: მიწერ-მოწერა, ამვლელ-ჩამვლელი-ი, გამვლელ-გამომვლელი-ი, ამრევე-დამრევი-ი, მიღებ-მოღება, შეხლა-შემოხლა...

შენიშვნა 1. ამ უკანასკნელთ ეკედლება ამგვარივე წესით გაერთიანებული, მხოლოდ პრეფერბებით განსხვავებული ზმნები (აიარ-ჩაიარა, აირ-ბინ-ჩაირბინა, გაივლ-გამოვივლის, მიედებ-მოედება...) ან ერთად გაერთიანებული სხვადასხვა ფუძის ზმნები (გააცივ-გააცხელა...).

შენიშვნა 2. იშვიათად ასეთ შემთხვევაში და კავშირიანი შეერთებაც გვხვდება: დღე-და-ღამ (მღრ. დღე-ღამე).

და კავშირითაა გაერთიანებული რიცხვითი სახელები ოცდაერთიდან მოკიდებული ასამდე ოცეულების აღმნიშვნელ სახელთა გამოკლებითა: ოც-და-ერთი, ოც-

და-შვიდი, ოც-და-ათი, ორმოც-და-ათი, სამოც-და-ათი, ოთხმოც-და-ათი, ორმოც-და-თერთმეტი, ოთხმოც-და-ჩვიდმეტი.

მნიშვნელობით ამათ ეკვდლება ისეთი შემთხვევები, როცა რიცხვითი სახელების ფუძეა გოარკვეტებული: ერთ-ერთ-ი (=ერთი და ერთი, ასეც იხმარება დიალექტებში), სამ-სამ-ი (=სამი და სამი), ხუთ-ხუთ-ი (=ხუთი და ხუთი) და ა. შ.

იშვიათად, მაგრამ მაინც ორზე მეტი ფუძის შეერთებაც გვხვდება: ქართლ-კახეთ-იმერეთ-ი, რძალ-მულ-დედამთილ-ი.

ასეთი ტიპის კომპოზიტები ორ- და მეტმნიშვნელობიანია. მათი შეცვლა შეიძლება და კავშირიანი სიტყვათშეერთებებით. რიცხვითი სახელების გამოკლებით რთული ფუძის მნიშვნელობა შემაღვენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს უდრის: დედ-მამა (=დედა და მამა).

ბ) სხვადასხვა ტიპის ფუძეების შეერთებისას აგრეთვე რამდენიმე შემთხვევა უნდა იქნეს გარჩეული:

1. არსებით სახელს დაერთვის მიმღობა, ზედსართავი სახელი ან რიცხვითი სახელი. ვიღებთ რთულ ფუძეს, რომელსაც ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

კუდამოძუებული, ყურმოჭრილი, ფეხმოტეხილი, თერგდაღეული, თავდადებული (დ ი მ ი ტ რ ი თ ა ვ და დ ე ბ უ ლ ი), გონებაშახვილი, გულჭაჭრიანი, გულხარბი, თვალჭრელი, თავმდაბალი, თავღია, მკერდოფლიანი, რქაბუდიანი, ტანდაბალი, ყურმახვილი, გულჩვილი, გულმაგარი, სულგრძელი, გულკეთილი, ოთხფეხი, ორპირი, სამფეხი.

-ა სუფიქსის დართვით: დიდყურა, შავტარა (შ ა ვ ტ ა რ ა დ ა ნ ა), ცისფერთვალემა („რა კარგი ხარ, რა კარგი, კობტა, ც ი ს ფ ე რ თ ვ ა ლ ე ბ ა“. — ი. გრიშაშვილი).

მრავალწევრიანები: თავგზააბნეული, თავპირდამტვრეული, თავქუდმოგლეჯილი, წვერულვაშვათთერებული.

ამ შემთხვევაში პირველი ორი ფუძე არსებითად ერთი ფუძის ფუნქციას ასრულებს.

2. მეორე შემთხვევაში ჩვეულებრივი ატრიბუტული მსაზღვრელის ფუძეა შეზრდილი საზღვრულთან და გვაძლევს რთულ ფუძეს. ასეთ რთულ ფუძეს მნიშვნელობა მსაზღვრელ-საზღვრულისა აქვს. მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები. მსაზღვრელი ჩვეულებრივ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ სახელობითი ბრუნვის ფორმითაც გვხვდება.

ამის მაგალითებია: ქალბატონი, ფურირემი, ხარირემი, ვაჟიშვილი (ე. ი. შვილი, რომელიც ვაჟია), ქალიშვილი (ე. ი. შვილი, რომელიც ქალია. მთის დიალექტებში ქალიშვილი მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტია, ნიშნავს შვილიშვილს, მაგრამ ქალიშვილის შვილს. ქალიშვილი შეიძლება ვაჟიც იყოს), ვაჟკაცი, გლეხკაცი (პარალელურად: ვაჟიკაცი: „ვ ა ჟ ი კ ა ც ი, გულოვანი“... გლეხიკაცი: „ვ ლ ე ხ ი კ ა ც ი ს ისტორია“, ივ. მაჭავარიანის თარგმანიდან), დედაკაცი, მამაკაცი, დედამიწა, ქვანახშირი, ბერკვიცი, დედაბერი, ლუქმაპური, დედაწრი, ბადექონი, ავდარი, ძვირფასი, დიდგაჭარი. გეოგრაფიული სახელებიდან: ახალციხე, ახალდაბა, ახალგორი, ახალქალაქი...

რიცხვითი სახელების შემცველი: ორდობე, სამითითი, სამგორი... და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები: ორასი, სამასი, ხუთასი, შვიდასი, ათასი...

ამასთან დაკავშირებით ცალკე უნდა გამოიყოს ერთი ჯგუფი სხვაგვარი. ში-

ნაარსის მქონე კომპოზიტიური წარმოების სახელებისა, რომელთა პირველი ნაწილი აგრეთვე სახელობით ბრუნვაში ჩანს დასმული: ხარიპარია, კაციჰამია, ბელტი-ულაპია, ქარიულაპია;

ამ მუხლში დასახელებული კომპოზიტები ყველა ერთმნიშვნელობიანია.

III. ორი ფორმის შეერთება

მესამე საშუალება კომპოზიტის მიღებისა ორი სიტყვის, ორი ფორმის შეერთებაა. ყველაზე ხშირია ის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის პირველი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთი კომპოზიტები მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად შერწყმის გზითაა მიღებული და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტების სახელთაა ცნობილი. კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს მხოლოდობითი რიცხვის ფორმაში ან -თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ფორმაში.

მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი და ბრუნვის ნიშანი მთლიანად შემონახულია შემდეგ მაგალითებში: ვერცხლისწყალი, ქინძისთავი, თავისუფალი, გუთნისდედა... ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებში: ძმისწული, ძმისშვილი, დისწული, დისშვილი,... თვეთა ქართულ სახელწოდებებში: ენკენისთვე, ღვინობისთვე, ვარდობისთვე, მწვანობისთვე... გეოგრაფიულ სახელებში: კავთისხევი, კისისხევი, ლამისყანა, ციხისჭვარი, ტინისხიდი, ხიდისთავი, უფლისციხე, ცხენისწყალი, ხანისწყალი...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ელემენტი ხ მოკვეცილია შემდეგ მაგალითებში: დედინაცვალი, ნათლიდედა, წუთისოფელი, მამიდა, შვილიშვილი, მამულიშვილი... აგრეთვე ბევრ გეოგრაფიულ სახელში და ძეხა და შვილზე დამთავრებულ გვარებში: გურამიშვილი, ბარათაშვილი, ჭავჭავიშვილი, ჭავჭავაძე, მიქელაძე...

ხშირად ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია: ხელსახოცი, ცხვირახოცი...

მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი (ემფატიკური ა ხმოვნის შემონახვით) პირველი ნაწილი კომპოზიტისა ამ ტიპის მაგალითებში: ხულთამხუთავი, გულთამხილავი (გ უ ლ თ ა მ ხ ი ლ ა ვ ო, შენ უწყი, რაც დღეს...“ — ნ. ბარ.), მზეთამზე, მკათათვე...

ემფატიკური ა ხმოვნის გარეშე: მზეთუნახავი, ხუროთმოძღვარი, მიწათმოქმედი (მიწათმოქმედება)...

ფორმანტი სრულიად დაკარგულია: წიგნსაცავი, ნავსადგური.

კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი რომ სხვა ბრუნვაში იყოს, ამის მაგალითები ქართულში იშვიათია:

მოთხრობითში: ერთმანეთი (← ერთმანერთი).

მიცემითში: თავდადასავალი, წყალქვეშა, თავზარი, თავმჯდომარე, თავბრუ, თავდასხმა...

მოქმედებითში: ქვითკირი (ქვითკირი), კირითხურო...

მიმართულებითში: ავადმყოფი, ყურადღება, ერთადერთი, ძმადნაფიცი...

ამ წყებაში დასახელებული კომპოზიტები ყველა ერთმნიშვნელობიანია.

IV. ერთს არცთუ ისე მცირე ჯგუფს კომპოზიტებისას ქმნის ისეთი სახეობები, რომლებშიც პირველ წევრად ზმნისართი ან თანდებულია წარმოდგენილი.

ზეგავლენა, ზეკაცი, ზედნადები, ზედნაშენი, ზედსართავი, ზედადგარი, ზედამხედველი, თანამსახური, თანამშრომელი, თანდებული, შინაყმა, წინამორბედი, წინდაუხედავი, წინდებული და სხვ.

ესენიც ერთმნიშვნელობიანია.

დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში კომპოზიტების დაწერილობის საკითხი მოუგვარებელია. როგორც პრესაში, ისე მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება. ერთი და იგივე კომპოზიტი იწერება ერთადაც, როგორც ერთი სიტყვა, მაგრამ დეფისითაც და ზოგჯერ მისი შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკეც კი. კომპოზიტების დაწერილობის საკითხი საკუთრივ ორთოგრაფიული საკითხია. სხვა ენობრივი საკითხი კომპოზიტებთან დაკავშირებით სალიტერატურო ენაში არ იმის. ამდენად, საჭიროა ერთგვარი შეთანხმება და ერთგვარობის დამყარება კომპოზიტების დაწერილობაში.

ამ შეთანხმებას მიღებისას ამოსავალი უნდა იყოს ის დებულება, რომ კომპოზიტი, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შედგენილობისაა მისი ფუძე, ერთ სიტყვას წარმოადგენს და შესიტყვებაში ისეთივე ფუნქცია აქვს დაკისრებული, როგორც მარტივი ან ნაწარმოები ფუძის შემცველ სიტყვას. ეს ერთი. მეორე, რაც შეეხება იმის განსაზღვრას, თუ რამდენი მნიშვნელობის შემცველია ესა თუ ის კომპოზიტი, ერთმნიშვნელობიანია იგი, თუ ორ- და მეტმნიშვნელობიანი, — ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მკვეთრად განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ისეთი შემთხვევები, როცა ორი და მეტი ფუძის შეერთებით სრულიად ახალ ფუძეს ვიღებთ (ე. ი. ვიღებთ სრულიად ახალი მნიშვნელობის მქონე სიტყვას), ისეთი შემთხვევებისაგან, როცა ფუძეთა მხოლოდ მექანიკური შეერთება გვაქვს და შემადგენელი ფუძეები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას ინარჩუნებენ. ამ ორი შემთხვევის ერთმანეთისაგან გამიჯვნა სრულიად აუცილებელია.

თუ ჩვენ დავადასტურებთ, რომ საქმე გვაქვს კომპოზიტის ისეთ სახეობასთან, როცა ორი ან მეტი ფუძის ამა თუ იმ საშუალებით შეერთების შედეგად მიღებული რთული ფუძე ახალი ფუძეა, რომ ამ ფუძეს ახალი, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ახალი ლექსიკური ერთეულია, — ეს რთული ფუძე უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად. ხოლო ქართლ-კახეთისა და დაძმის ტიპის კომპოზიტებში შემადგენელი ფუძეები ერთმანეთისაგან დეფისით უნდა გამოიყოს.

სიძნელეები წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა კომპოზიტი ორი სიტყვისაგანაა შედგენილი. ბევრ შემთხვევაში ამ ორი სიტყვის შერწყმის პროცესი დამთავრებულია და ორი ფუძე საბოლოოდ ერთ რთულ ფუძედაა ქცეული. მაგრამ არის შემთხვევები, როცა შერწყმის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და ძნელია გადაწყვეტა ერთ რთულ ფუძესთან გვაქვს საქმე, თუ შესიტყვებასთან. ამგვარ შემთხვევებში გარკვეულ ეფექტს იძლევა იმ საზომის გამოყენება, რომელიც არნ. ჩიქობავას აქვს წარმოდგენილი. ესაა „შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ნ ა წ ი ლ თ ა გ ა თ ი შ ვ ა (გ ა დ ა ს მ ი თ ა ნ შ ი გ ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ჩ ა რ თ ვ ი თ). სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება); სადაც გათიშვა და უ ბ რ კ ო ლ ე ბ ლ ი ვ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი; სადაც ვადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, ი ქ კ ო მ პ ო ზ ი ტ ა დ ქ ც ე ვ ი ს პ რ ო ც ე ს ი დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ი არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე“ („ენათმეცნიერების შესავალი“, გვ. 227). თუ კომპოზიტია — ერთად უნდა დაიწეროს; თუ შესიტყვება აღმოჩნდება — ცალკე, ორ სიტყვად; დეფისისათვის ამ შემთხვევაში ადგილი არ რჩება.

ამისდა მიხედვით, ერთმნიშვნელობიანობისა და ორ- და მეტმნიშვნელობიანობის აქ წარმოდგენილი გავების თანახმად, ყ ვ ე ლ ა ე რ თ მ ნ ი შ ვ ე

ლობიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორ- და მეტმნიშვნელობიანი — დეფინით.

მაშასადამე:

A. ერთად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს შემდეგი ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტები:

1. ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტები, რომელთა ნაწილების (შემადგენელი ფუძეების) მნიშვნელობა გასაგებია (მაგალითად: თფთავი, წაწამი).

2. ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტები, რომელთა ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია (ბაჭ, კაჭ, რახ, ჩიფ, ძაგ დამისთ.):

ბუბუტი, კაშკაში, კაჭკაჭი, ლაქლაქი, ლულულუღი, რაკრაკი, ჩაქჩაქი, ჩიფ-ჩიფი და სხვ.

3. ასუფიქსდართული გეგვე კომპოზიტები:

ბაჯბაჯა, კაშკაშა, ჩიფჩიფა, ნარნარა, ლაქლაქა და სხვ.

4. ამტიპისვე კომპოზიტები, როცა ფუძეში ხმოვნის ან თანხმოვნის შეცვლა ხდება.

კანტიკუნტად, ხევხუვი, ბიჭბუჭები, ბინდბუნდი, რიფრაფი, ქონმანი, კუჭმაჭი, ავანჩავანი, ჩამირჩუმი, ხათქახუთქი, არემარე და სხვ.

5. ფუძეგაორკეცებულ და კავშირით შეერთებულ კომპოზიტები, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ზმნისართული მნიშვნელობა აქვთ:

სხვდასხვა, პირდაპირ, ფეხდაფეხ, კვლდაკვალ, ხანდახან, წინდაწინ, კარდაკარ და სხვ. აგრეთვე მათგან ნაწარმოები: გულდაგული, პირდაპირი...

6. და კავშირით გაერთიანებული რიცხვითი სახელები ოცდაერთაღან მოკიდებული ასამდე (ოცდაერთი, ოცდაცხრა, ოცდაათი, ორმოცდაათი, სამოცდაათი, ხამოცდაჩვიდმეტი, ოთხმოცდაათი...).

სხვდასხვა ფუძეების შეერთების შედეგად მიღებულ კომპოზიტთაგან:

7. არსებითი სახელების ფუძეების მიმდევრობის, ზედსართავი სახელის ან რიცხვითი სახელის ფუძის დართვით მიღებული კომპოზიტები, რომელთაც ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ:

კულამოძუებული, ყურმოჭრილი, თერგალეული, თავდადებული... თავმდაბალი, გულხარბი, გონებამანვილი, პირსისხლიანი, რქაბულიანი... გულკეთილი, გულჩვილი, გულშაკარი... ოთხფეხი, ორპირი...

ასუფიქსის დართვით: შავტარა, ცისფერთვალეზა, შავთვალა... მრავალწევრიანები: თავქუღმარეგული, წვერულვაშვათეთრებული...

8. კომპოზიტები, რომლებშიც ატრიბუტული მსახედვრელის ფუძეა შეზრდილი არსებითი სახელის ფუძეს: ქალბატონი, ფურჩრემი, ხარჩრემი, ვაჟკაცი, გლეხკაცი...

ძვირფასი, ავღარი...

ახალდაბა, ახალგორი, ახალქალაქი...

სამგორი, ორთითი...

ქალიშვილი, ვაჟაშვილი, ბერიკაცი, დედაბერი, ლუქმაპური...

აგრეთვე: ხარიპარია, კაციჭამია, ქარიყლაპია და მისთ.

9. მსახედვრელ-სახედვრულის შეერთებით მიღებულ-

ლი კომპოზიტები, რომლებშიც მსაზღვრელი (კუთვნი-
ლებითი ნაცვალსახელი) მორე ადგვლასაა დასმული
და რომლებიც ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმი-
ნებს წარმოადგენენ:

დეღარემი, მამარემი, პაპარემი, ბებარემი, მამიდაშენი, დეიდათქვენი დამისთ.

10. ორი სიტყვის შეერთების შედეგად მიღებული კომპო-
ზიტები, მიუხედავად იმისა, თუ რა ბრუნვის ფორმითაა წარ-
მოდგენილი რთული ფუძის პირველი შემადგენელი ნაწილი:

ვერცხლისწყალი, გუთნისდედა, ძმისწული, ღვინობისთვე, კავთისხვევი, ლამის-
ყანა, ხიდისთავი, ცხენისწყალი...

დედინაცვალი, ნათლიდედა, მამულიშვილი...

ხელსახოცი, ცხვირსახოცი...

გულთამხილაფი, მზეთამზე, მკათათვე...

მზეთუნახავი, ხუროთმოძღვარი...

წიგნსაცავი, ნავსადგური...

თავგადასავალი, წყალქვეშა, თავდასხმა...

ავადმყოფი, ერთადერთი, ძმადნაფიცვი...

ქვითკირი...

11. კომპოზიტები, რომლებშიც პირველ წევრად ზმნი-
სართი ან თანდებულია წარმოდგენილი:

ზედნაშენი, ზედამხედველი, თანამშრომელი, შინაყმა, წინდაუხედავი, წინამორ-
ბელი...

12. სხვადასხვა სახელის ფუძეთა შექცეული ზმნისართები:
დღედაღამ, წამდაუწუმ.

B. დეფისით უნდა დაიწეროს ორმნიშვნელობიანი
კომპოზიტები.

1. კომპოზიტები, რომლებშიც მიღებულია მნიშვნე-
ლობისმხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძე-
ბის გაერთიანებით:

ძალ-ღონე, ტოლ-ამხანაფი, ბედ-იღბალი, დარიბ-დატაკი, შიშველ-ტიტველი...

უფროს-უმცროსი, ქალ-ვაფი, ტყე-ველი, მთა-ბარი, მტერ-მოყვარე, დღე-ღამე...

ოქრო-ვერცხლი, ბარ-საკვეთი, სახნის-საკვეთი, სიტყვა-პასუხი, რძალ-მული...

თვალ-წარბი, ფარ-ხმალი, წერა-კითხვა, მშვილდ-ისარი...

ქართლ-კახეთი, მესხეთ-ჭავჭავთი, ტაო-კლარჯეთი...

მიწერ-მოწერა, ამვლელ-ჩამვლელი, გამვლელ-გამომვლელი.

ასევე: ქართლ-კახეთ-იმერეთი, ლათინურ-რუსულ-ქართული, რძალ-მულ-
დღემთილი...

ამგვარივე წესით შეერთებული, მხოლოდპრევერ-
ბით განსხვავებული ზმნები: აივლ-ჩაივლის, აირბინ-ჩაირბინა...
სხვადასხვა ფუძის მქონე ერთად გაერთიანებუ-
ლი ზმნები:

გაცივ-გააცხელა...

2. რიცხვითი სახელების ფუძის გაორკეცებით მი-
ღებული კომპოზიტები:

ერთ-ერთი, ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ათ-ათი...

3. ფუძეგაორკეცებულ ზედსართავები: ცხელ-ცხელი,
ცივ-ცივი, დიდ-დიდი, პატარ-პატარა, ჭრელ-ჭრელი...

4. სახელის ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული ბრუნვისნიშნის უქონელი ზმნისართები: უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა, ნაპირ-ნაპირ, ტყე-ტყე...

შენიშვნა. თუ ორმნიშვნელობიან კომპოზიტს სიტყვის საწარმოებელი აფიქსები დაერთვის და მისგან, მაშასადამე, ახალი სიტყვა იქნა წარმოები, ეს წარმოები სიტყვა ერთად, უდგისოდ დაიწერება. ასეთი სიტყვა კომპოზიტი კი არ არის, არამედ კომპოზიტის ფუძისაგან (რთული ფუძისაგან) წარმოები ფუძის მქონე სიტყვაა მხოლოდ.

დედ-მამა, მაგრამ: **უდედმამო**.

დედა-შვილი, მაგრამ: **დედაშვილური**, **დედაშვილობა** (დედაშვილობა, ბერს არ ვთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო. — აკაკი).

ხახლ-კარი, მაგრამ: **უსახლკარო**.

და-ძმა, მაგრამ: **დაძმური**.

ცოლ-შვილი, მაგრამ: **ცოლშვილიანი**, **უცოლშვილო**.

ბატონ-ყმა, მაგრამ: **ბატონყმური**, **ბატონყმობა**.

აქ წარმოდგენილია კომპოზიტების დაწერილობის ძირითადი ზოგადი წესები. დაწერილობა ბევრი იმგვარი სიტყვისა, რომლებიც აქ წარმოდგენილ ამა თუ იმ ყალიბში ვერ მოთავსდება, ორთოგრაფიულ ლექსიკონშია შეტანილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტის შემადგენელი ფუძეები მით უფრო მტკიცედაა შეკავშირებული ერთმანეთთან და, მაშასადამე, ერთ სიტყვადაა ქცეული, რაც უფრო ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ამ სიტყვის ხმარებას, რაც უფრო ძველია კომპოზიტი. ამის გამოა, რომ ბევრი გეოგრაფიული და ადამიანის სახელი თუმცა წარმოშობით მთელ შესიტყვებას წარმოადგენს, მაგრამ ამჟამად აღარც კი გვგონია, რომ რთული შედგენილობისაა (ადამიანთა სახელები: **დვთისავარი**, **მწვეინარი**, **პირიმზისა**, **ვარდისახარ**, **მწეჭალა**... გეოგრაფიული სახელები: **სიდისთავი**, **მუხათვერდი**, **ნინოწმინდა**...).